



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 19 თებერვალი

**დისციპლინური საქმე №191/19-1  
მოსამართლე -- -- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

---- 2019 წლის 21 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის №--/-- -03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ -- -- 2019 წლის 21 ნოემბრის №-- საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

**1. საჩივრის (საჩივრების) ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- -- მიიჩნია, რომ მისი ერთ-ერთი სასარჩელო მოთხოვნა არ იყო სასამართლოს განსჯადი და იგი უნდა მოეკვლია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, რის შემდგომაც იყო შესაძლებელი სასამართლოს მიერ ამ საკითხის განხილვა ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე.

საჩივრის ავტორის თქმით, აღნიშნულით მოსამართლე -- -- წინასწარი შეცნობით არ შეასრულა კანონის მოთხოვნები.

**2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2018 წლის 13 მარტს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების - სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიმართ, გადაწყვეტილების გაუქმების, ქმედების განხორციელების და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დადგენის მიზნით.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2018 წლის 30 მარტის განჩინებით, -- -- უარი ეთქვა მეხუთე სასარჩელო მოთხოვნის წარმოებაში მიღებაზე, რომელიც შეეხებოდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამართალდამრღვევად ცნობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო.

**3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ უფლებამოსილი პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით და სახელმწიფო ინსპექტორის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან სამართალდარღვევის საქმეზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების არარსებობის პირობებში, სასამართლო ვერ განიხილავდა სამართალდარღვევის საქმეს.

საჩივრის ავტორი მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტთან მიმართებაში მიუთითებს 2018 წლის 30 მარტის განჩინებაზე, რითაც უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, მოსამართლის განჩინების შეფასება ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს კანონიერების სფეროს, რაც ვერ გახდება დისციპლინური სამართალწარმოების დროს მსჯელობის საგანი, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად, მოსამართლე -- -- მიმართ არ გამოიკვეთა 2019 წლის 21 ნოემბრის №191 საჩივარში მითითებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

დისციპლინურ საქმეზე №191/19-1 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**